პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 183 (3667)

1968 წ. 17 სექტემბერი. შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.





## ჭუჭუნ...

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა „ა“ კლასის I ჯგუფის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, XXVIII ტურის მატჩები:

„ნეფტჩი“ (ბაქო)—„ტორპედო“ (ქუთაისი) 2:1.
ცსკა — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 2:2.
„კაირატი“ (ალმა-ათა) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:0.
„პახტაკორი“ (ტაშკენტი) — „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:0.
„დინამო“ (კიროვაბადი) — ასკ (როსტოვი) 0:0.

## უკანასკნელი საათი...

◆ **მოსკოვი,** 16 სექტემბერი. კიევისა და მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდები მონაწილეობას არ მიიღებენ ევროპის ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებში. ასე გადაწყვიტა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ. მან საერთაშორისო ფედერაციისადმი გაგზავნილ საპროტესტო წერილში მთელი პასუხისმგებლობა დააკისრა ფიფა-ს ხელმძღვანელობას.

◆ **მეხიკო, 16** სექტემბერი. მექსიკის პრეზიდენტმა გუსტავო დიას ორდასმა ოფიციალურად გახსნა ძირითადი ოლიმპიური ნაგებობანი. ყველა ისინი ამიერიდან ატარებენ მეხიკოს სამხედრო სასწავლებლის იმ კადეტთა სახელებს, რომლებიც 1847 წელს გმირულად დაეცნენ ამერიკელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სპორტის სასახლეს დაერქვა ხუან ესკუტიას, ტანვარჯიშულ დარბაზს — ფერნანდო მონტეს დე ოკას, ველოდრომს — აუგუსტინა მელგარის, საცურაო აუზს — ფრანცისკო მარკუესის, ნიჩბოსნობის არხს — ვისენტე სუარესის, სასროლეთს — ვირგილიო ურიბეს სახელები.

◆ **პარიზი,** 16 სექტემბერი. მესამე დღეა საფრანგეთის გზებზე მიმდინარეობს საერთაშორისო ველორბოლა „ტურ დე ლავენირი“ (იმედის ტური). ასპარეზობაში გამოდიან ბელგიის, დანიის, ლუქსემბურგის, შვეიცარიის, მასპინძლების, იუგოსლავიის და საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები.

◆ **ლას-პალმასი,** 16 სექტემბერი. კანარის კუნძულებს „ეწვია“ XIX ოლიმპიადის ჩირაღდანი. ამ კეთილშობილურ ცეცხლს სადღესასწაულო შეხვედრა მოუწყო ათასობით კაცმა. ეს ის ადგილია, სადაც 1492 წელს ქრისტეფორე კოლუმბი უკანასკნელად შეჩერდა. აქედან მან ოკეანე გადაკვეთა და შემდეგ ამერიკაც აღმოაჩინა.

**62 მეტრი და 14 სანტიმეტრი** — ასეთია ამიერიდან სსრ კავშირის ახალი რეკორდი ბადროს ტყორცნაში. მისი ავტორი გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გურამ გუდაშვილი. ამ ნიჭიერმა ათლეტმა საკავშირო რეკორდების ცხრილში ეს შესწორება შეიტანა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამართული ასპარეზობისას, რომლის ანგარიშსაც თქვენ მე-8 გვერდზე წაიკითხავთ.

ს უ რ ა თ ზ ე: გურამ გუდაშვილი.



# აუღელვებლად, დაჯერებულად...

**კიევი,** 15 სექტემბერი. IV პარტიის წაგების შემდეგ ვ. კორჩნოი აგრესიულად იყო განწყობილი სპასკისთან ფინალური მ ა ტ ჩ ი ს V პარტიაში. ამიტომ თავიდანვე იგი გვერდს უვლიდა თამაშის გამამარტივებელ სვლებს.

სპასკიმ აუღელვებლად, საკუთარ ძალაში დაჯერებულად განავითარა ფიგურები. ყოველ წუთს მზად იყო ზავისთვის ხელი მოეწერა. ხაზის გახსნისა და ეტლების გაცვლის შემდეგ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ შეხვედრა მალე ყაიმით დამთავრდება. მაგრამ კორჩნოიმ ღრმა მანევრებით გამოააშკარავა სპასკის პოზიციაში სისუსტეები. ბრძოლამ შეუპოვარი ხასიათი მიიღო. ერთ მომენტში კორჩნოიმ ვერ მიაგნო უძლიერეს გაგრძელებას და მოსკოველმა დიდოსტატმა ლაზიერები გაცვალა. თამაში მხედრების ენდშპილში გადავიდა. 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო. კორჩნოიმ ჩაიწერა სვლა. სპეციალისტების შეხედულებით, ლენინგრადელ დიდოსტატს მცირე უპირატესობა აქვს, მაგრამ სპასკი ყაიმის დიდ შანს ინარჩუნებს.

# მეოთხე პარტია

**ვ. კორჩნოი — ბ. სპასკი**

ინგლისური დაწყება

**1. c4 e5 2. მc3 მc6 3. მf3 f5 4. d4 e4 5. მd2 მf6.**

ცხადია, 5. ... მ:d4 მოჰყვებოდა 6. მd:e4. სპასკის სურს საიერიშო პოზიციის აგება. იმასვე ფიქრობს კორჩნოი.

**6. e3 g6 7. a3 კg7 8. b4 0—0 9. g3 d6 10. მb3 ლe7 11. ლc2 მd8 12. a4.**

მჟღავნდება კორჩნოის ჩანაფიქრი: მეფის გახიზვნა ლაზიერის ფრთაზე და იერიში მეტოქის მეფის პოზიციაზე. ამ მდგომარეობაში კორჩნოიმ 34 წუთი იფიქრა.

**12. ... მf7 13. კa3 კd7 14. 0—0—0 c6 15. h3 b6 16. კe2 a5.**

სპასკი თავად მიილტვის მეფის დასალაშქრავად. ხაზის გახსნის მერე მისი იერიში რეალობად იქცევა. რა თქმა უნდა, კორჩნოი მოელოდა ბრძოლის ასეთ მსვლელობას, მაგრამ რაღაცა სწორად მაინც ვერ გაითვალისწინა. თამაში უაღრესად მწვავდება. ახლა ალბათ სჯობდა 17. b5.

**17. ba ba 18. მფb1 ეfb8 19. მფa2 მg5 20. ეb1 ეb4.**

შესანიშნავია. ეტლის აყვანის შემთხვევაში თეთრი მეფე იერიშის ობიექტი გახდებოდა. სანამ შეიძლება კორჩნოი ხელს არ ახლებს ამ დანაღმულ ფიგურას.

**21. მd2 c5 22. d5 h5 23. მb5 მf7 24. ეbd1 მe5 25. მb1 ლd8 26. ეhg1 ლb6 27. g4.**

კორჩნოიმ აქტიურად რომ არ ითამაშოს მეტოქის იერიში ლაზიერის ფრთაზე ტაიფუნად გადაიქცევა. მაგრამ პაიკის ეს წინსვლა მას არაფერს აძლევს.

**27. ... hg 28. hg fg 29. მd2 კf5 30. კ:b4.**

ეტლი სოლივით იყო შემოჭრილი და თეთრებს ხელ-ფეხს უბორკავდა. იწყება ხანგრძლივი მანევრული ბრძოლა: სპასკი იერიშის გზებს ეძებს, კორჩნოი სისუსტეთა ლიკვიდაციაზე ზრუნავს.

**30. ... ab 31. მფb3 ლd8 32. ეa1 ეa5 33. ეa2 ლe7 34. მf1 მf3 35. ეh1 მh5 36. ლc1 კe5 37. მd2 მფg7 38. კd1 მფf7 39. კc2 კg7 40. კb1**

ცაიტნოტში კორჩნოი ვერ ხედავს, რომ შეიძლებოდა 40. მ:e4 პაიკის მოგებით. აგებს 40. ... კ:e4 კ:e4 ლ:e4 42. მ:d6+ გამო.

**40. ... მფf8.**

აქ პარტია გადაიდო. რა თქმა უნდა, საშინაო ანალიზით სპასკიმ მოგების კონკრეტულ გეგმას მიაგნო. სპეციალისტების აზრით, კორჩნოიმ უხეირო სვლა ჩაიწერა. მას f3 მხედარი უნდა გაეცვალა.

სპასკი ჯერ აუმჯობესებს თავისი ფიგურების ქმედითუნარიანობას, მერე ეცემა f2 პაიკს და ცხრილავს თეთრების დამცველ ძალას.

**41. კc2 მg5 42. კd1 მf7 43. კe2 მe5 44. ლg1 ეa6.**

ათავისუფლებს შავ ლაზიერს d6 პაიკის დაცვისგან.

**45. a5 მf6 46. ლb1 მოg8 47. მფc2 მd8 48. ეf1 კh6 49. ლb3 კg5 50. მფb1 კh4.**

სპასკი შეუდგა თავისი გეგმის მეორე ნაწილს: შეტევას f2 პაიკზე. კორჩნოის შემდეგი სვლა იძულებითია.

**51. კ:d3 ed 52. მფc1 კg5 53. ეg1 მe4 54. მ:e4 ლe4.**

ახლა შეიქმნა კომბინაციური მოტივი: შეწირვა e3-ზე. კორჩნოის პოზიცია უკვე უიმედოა.

**55. ეg3 კh4 56. მc7 კ:g3 57. მ:a6 კ:f2! 58. ე:f3 ლ:e3+**

კორჩნოი დანებდა, რადგან 59. ეd2 g3 60. ლd1 g2 შემდეგ შავები მეორე ლაზიერს „აცოცხლებენ“.

მეტად რთული და ძალიან ძნელი სათამაშო პარტიაა.

## ჭუჭუნ...

კიევის საჭადრაკო კლუბში შედგა V პარტიის დამთავრება. სპასკიმ ზუსტი თამაშით გააქარწყლა მეტოქის მცირე უპირატესობა და ყაიმს მიაღწია.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 3,5:1,5 სპასკის სასარგებლოდ.

## სვერდლოვსკი მასპინძლობს

**სვერდლოვსკი** (ტელეფონით). აქ მიმდინარეობს „ა“ კლასის II ჯგუფის ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობს თბილისის „ბურევესტნიკი“.

ჩვენებმა უკვე ჩაატარეს 3 შეხვედრა: მოუგეს რიგის „დაუგავას“ — 11:9 და ტალინის „კალევს“ — 11:9. მინსკის თანაკლუბელებთან მატჩში თბილისელები დამარცხდნენ—7:13.

## მეხიკოს სიგნალები

**მეხიკო, 14 სექტემბერი.** ოლიმპიური სოფლის ცენტრში, მშვიდობის მოედანზე 3 დროშაა აღმართული. ერთ-ერთი, XIX ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორს მექსიკას ეკუთვნის. მეორე — ხუთი გადაჭდობილი ნაირფერი რგოლით, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, ხოლო მესამე — ქალაქ მეხიკოს ღერბის გამოხატვაა. ოლიმპიური სოფლის საზეიმო გახსნა გადატანილია დღეისთვის.

**ვარშავა, 14 სექტემბერი.** პოლონეთის მოკრივეთა ოლიმპიური ნაკრები სპორტის ამ სახეობის ოსტატთა თავისებური თანავარსკვლავედია. გუნდს, როგორც ყოველთვის, ავარჯიშებს ფ. შტამი. შემადგენლობაში არიან: ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონები ი. გრუძენი (მსუბუქი წონა), ე. კულეი (პირველი ქვესაშუალო) და მ. კასპშიკი (მეორე ქვესაშუალო), ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი ა. ოლეხი (უმჩატესი), ევროპის ჩემპიონი ჰ. სკშიპჩაკი (48 კილოგრამამდე) და კონტინენტის ვიცე-ჩემპიონები — ი. გოლონზკა (მჩატე) და ვ. სტახურსკი (პირველი საშუალო).

**ოკლენდი, 14 სექტემბერი.** აქ გამოცხადდა, რომ ახალი ზელანდიის ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში 59 სპორტსმენი გამოვა.

**ლონდონი, 14 სექტემბერი.** ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში მ. რენდი არ იქნება შეყვანილი ინგლისის ოლიმპიურ გუნდში. როგორც ცნობილია, რენდიმ რამდენიმე თვის წინ დაიზიანა ფეხი და დარჩენილ დროში ვერ მოახერხა საბრძოლო ფორმაში შესვლა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა როგორც კი გაიგო ამ გადაწყვეტილების შესახებ, განაცხადა, რომ თავს ანებებს სპორტს. მ. რენდი მეხიკოში მაინც გაემგზავრება, ოღონდ ამჯერად იგი ერთ-ერთი სატელევიზიო კომპანიის კომენტატორი იქნება.

**ტოკიო, 14 სექტემბერი.** იაპონიის ოლიმპიური გუნდის კაპიტნად დანიშნულია ცნობილი უროსმტყორცნელი ტ. სუგავარა, ხოლო მედროშედ — ოლიმპიური ჩემპიონი, ტანმოვარჯიშე ი. ენდო.

**ჰელსინკი, 14 სექტემბერი.** ფინეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა გაზარდოს მეხიკოში გასაგზავნი გუნდი 67 სპორტსმენამდე. მის შემადგენლობაში დამატებით შეყვანილ იქნა 2 მძლეოსანი და 1 ველოსიპედისტი.

**მეხიკო, 16 სექტემბერი.** ოლიმპიურ სოფელში, სადაც უკვე ცხოვრობს თამაშების 541 მონაწილე, ყურადღების ცენტრში არიან საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილები. ჩვენებმა უკვე დაიწყეს ვარჯიში საწვრთნელ სტადიონზე, რომელიც 200 მეტრითაა დაცილებული მათი საცხოვრებელი ადგილიდან.

**მეხიკო, 16 სექტემბერი.** რაც დრო გადის, მით უფრო მეტი სპორტსმენი ჩამოდის ოლიმპიურ სოფელში. უკვე შედგა ეროვნული დროშის აღმართვის პირველი ცერემონიალი. ფლაგშტოკზე აფრიალდა თურქეთის დროშა. ეს ქვეყანა მეხიკოში სრული შემადგენლობით ჩამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რკინიგზელ რეგბისტებს — ბრინჯაოს მედლები

**ვორონეჟი,** 16 სექტემბერი **(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** რეგბისტთა I საკავშირო ჩემპიონატის დასკვნით ტურს უნდა გაერკვია ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების პირველ მფლობელთა ვინაობა. მანამდე, მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივს თითქოს თავი ქუდში ჰქონდა, ვინაიდან დღევანდელ მეტოქესთან, თბილისის „ლოკომოტივთან" ნახევარფინალში მან იოლ გამარჯვებას მიაღწია და ახლაც ამგვარი წარმატების იმედი ჰქონდა. მაგრამ... სულ სხვანაირად ფიქრობდნენ საქართველოს სპორტსმენები (ამ ორთაბრძოლამდე მოსკოვის „დინამომ" ძნელ ბრძოლაში მოუგო ლენინგრადის „ბურევესტნიკს" 6:3 და ისე, როგორც ჩემპიონატის ლიდერს, მასაც 4 ქულა ჰქონდა). თუ თბილისელები ლიდერთან მატჩში შეხვედრის ბედს თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრებდნენ, ისინიც ოთხ ქულას აგროვებდნენ და მაშინ სამთა დამატებითი ტურნირის ჩატარება გახდებოდა საჭირო.

მართლაც, „ლოკომოტივმა" შემართებით დაიწყო ტემპიან, საინტერესო და დაძაბულ დუელში „ლოკომოტივის" მონდომებულ თამაშს მოსკოველებმა ფლანგური გარღვევები დაუპირისპირეს. საბოლოოდ უპირატესობა უფრო მონოლითურ, სწრაფი გარემარბებით დაკომპლექტებულ გუნდს ხვდა. ტექნიკური სასწავლებლის რეგბისტებმა შეხვედრის ბედი თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვიტეს (13:8) და ამით წერტილი დაუსვეს შეჯიბრებას.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატის საპატიო სახელი და ოქროს მედლები უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდს ხვდა. II ადგილზე გავიდა მოსკოვის „დინამო", III — თბილისის „ლოკომოტივი".

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ვესაუბრეთ გათამაშების მთავარ მსაჯს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს ნ. ბარინოვს და ვთხოვეთ გამოეთქვა თავისი აზრი პრიზიორებზე.

— ჩემპიონი ღირსია ატაროს ეს წოდება. ამ გუნდის ლიდერები ანტონოვი, ზაიცევი, გათამაშების საუკეთესო ბომბარდირი გრიგორიანცი, თბილისელები კვინიხიძე, ხაჭაპურიძე და სხვანი ოვალური ბურთის ფლობის შესანიშნავ ტექნიკას გვიჩვენებდნენ. ასპარეზობაში თავიდან ქვეყნის 60 კოლექტივი ჩაება, ფინალში კი უდავოდ უძლიერესთა კვარტეტმა მოიყარა თავი. ჩემის აზრით, „ლოკომოტივი" მეორე ადგილის ღირსი მაინც იყო. მაგრამ მას ამის საშუალება არ მისცა მოსკოვის „დინამოსთან" უფერულად ჩატარებულმა შეხვედრამ. ისე კი მჯერა, რომ საქართველო შემდგომში უფრო ძლიერ კოლექტივს გამოიყვანს.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე: მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და ლენინგრადის „ბურევესტნიკის" გუნდების შეხვედრის მომენტი.**

ფოტო ა. იაკოვლევისა. (საკდესი).



მიმდინარეობს პროფკავშირული სპარტაკიადები

# სად არიან მეშახტე ძალოსნები?

ორდღიანი შესვენების შემდეგ ტყვარჩელში განახლდა ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სპარტაკიადა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ხელბურთელთა ტურნირმა. ტყვარჩელისა და ტყიბულის ვაჟთა გუნდების ფინალურმა ასპარეზობამ მრავალრიცხოვანი მაყურებელი მიიზიდა. მეტოქენი თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ სპორტულმა ფორტუნამ ტყიბულელებს გაუღიმა. ამ გუნდის ლიდერი, ლენინის სახელობის შახტის თანამშრომელი რ. მდივანი იოლად უსხლტებოდა მეტოქეებს და ბურთი ბურთზე გაჰქონდა. საბოლოოდ, გაიმარჯვეს ტყიბულელებმა — 19:14. ერთი დღით ადრე, ტყიბულის ქალთა კოლექტივმა გადამწყვეტ ბრძოლაში სძლია მასპინძლებს — 5:2.

ტყვარჩელის „შახტმშენის" 21 წლის ხარატმა ვ. ვერშინინმა მძლეოსანთა ტურნირში სულ მეორედ იასპარეზა და სიმაღლეზე ხტომაში მეორე თანრიგის ნორმატივი შეასრულა — 175 სმ დაძლია. II თანრიგის შედეგი აჩვენა აგრეთვე, ტყიბულელმა ბადროს მტყორცნელმა ზაირა სოფრომაძემაც — 36,05. მანვე მოიგო ბირთვის კვრა — 9,86. ტყვარჩელელი ა. შოუ უძლიერესი გახლდათ 100 და 200 მეტრზე რბენაში. მისმა თანაგუნდელმა ვ. ქარჩილავამ კი ყველას აჯობა სამხტომში — 11,42. ტყვარჩელელებმა გაიმარჯვეს აგრეთვე, შუბის ტყორცნაში, სადაც პირველობა ვ. კუსაკიმს ხვდა — 51,47. ი. მელქუმოვი პირველი იყო 800 მეტრზე რბენაში — 2.14,6, ი. ბრიანცევი — 400 მეტრზე ასპარეზობაში — 57,2. სამწუხაროდ, გამარჯვებულები მთელ რიგ სახეობებში დაბალი შედეგებით დაკმაყოფილდნენ. მაგალითად, ტყიბულელმა ჯ. სოფრომაძემ, რომელიც უძლიერესი იყო ვაჟების ბირთვის კვრაში, მხოლოდ 9,72 სმ აჩვენა. ვ. ახვლედიანმა კი 1500 მეტრის გარბენას 5.19,6 მოანდომა.

მოჭიდრაკეთა ასპარეზობაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ტყვარჩელის გუნდი. აქაური სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა ძალოსანთა ასპარეზობაც, მაგრამ ჩემპიონებმაც კი მეტად უხეირო შედეგები აჩვენეს. აი, ისინიც (წონითი კატეგორიების მიხედვით): ნ. კანთელაძე (ტყიბული) — 240 კგ, უ. მანჯავიძე — 235, ა. ასპანაშვილი (ორივე — ტყვარჩელი) — 227,5, ვ. სახელაშვილი — 240, დ. ზოსიაშვილი (ორივე — ტყიბული) — 225, გ. დგებუაძე — 290, ზ. ხვინჩია — 285, ბ. გვარამია (ყველა — ტყვარჩელი) — 262,5. როგორც ჩანს, მეშახტეთა შორის ძალოსნობის განვითარებისთვის სათანადოდ არ ზრუნავენ, თორემ ასეთი დაბალი მაჩვენებლები არ იქნებოდა.



ტყვარჩელელებმა მოიგეს ფრენბურთელთა და ველოსიპედისტთა ტურნირიც. მათვე დარჩათ გამარჯვება სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში.

**ვ. ბუკინი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე: ტყვარჩელისა და ტყიბულის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების შეხვედრის მომენტი.**

ფოტო ავტორისა.

# მძლეოსნებმა და ფეხბურთელებმა გაგვანაწყენეს...

თბილისში დაიწყო მანქანათმშენებელი მრეწველობის პროფკავშირების მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის II სპარტაკიადა. ტურნირმა უნდა შეარჩიოს ნაკრები, რომელიც პროფკავშირთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში იასპარეზებს. სამწუხაროდ, სტარტი უხეირო გამოდგა. ლენინის სახელობის სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა ასპარეზობაში მხოლოდ 26 სპორტსმენი ჩაება. ამასთან, არც შედეგებია სახარბიელო. მაგალითად, ქუთაისის სპორტკლუბ „კოლხიდის" გუნდის წევრი ტ. დერიპასკა 390 სმ სიგრძეზე ძლივს გადახტა. მისმა თანაგუნდელმა ა. პერეპანსკაიამ 100 მეტრის გარბენას 14,6 წამი მოანდომა. თბილისის სპორტკლუბ „გამარჯვების" ბირთვის მკვრელმა ა. ტოლკაჩოვამ 8,35 მ აჩვენა. 5000 მეტრზე მხოლოდ ორნი — ვ. პავლოვი („გამარჯვება") და კ. ქუთათელაძე („კოლხიდა") იბრძოდნენ. პირველობა პავლოვს დარჩა — 18.33,6 (?!).

...ფეხბურთელთა ტურნირი 8 გუნდმა დაიწყო და მხოლოდ 6-მა დაამთავრა, ვინაიდან სოფლის მეურნეობის ტექნიკის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროსა და მეტროლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივები ასპარეზობიდან მოიხსნენ გუნდების „ნასესხები" სპორტსმენებით დაკომპლექტების გამო.

ფინალში თამაშობდნენ „კოლხიდისა" და რუსთავის ფეხბურთელები. ქუთაისელებმა მეტოქის კარში 3 ბურთი გაიტანეს ისე, რომ საკუთარში ერთიც არ მიუღიათ.

ქუთაისელთა გამარჯვებით დამთავრდა ფრენბურთელთა ტურნირიც. მაგრამ ამჯერად მათ ფინალში ძნელი ბრძოლების გადატანა მოუხდათ. ქალთა შეჯიბრების ფინალში ქუთაისელებმა სძლიეს თბილისის ჩარხსახეხი ქარხნის სპორტსმენებს. ვაჟთა ასპარეზობის ფინალში ქუთაისელთა წინააღმდეგ გამოვიდა სპორტკლუბ „გამარჯვების" კოლექტივი. პირველი პარტია ქუთაისელებმა მოიგეს (15:7), სამაგიეროდ, მეორე პარტიაში დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება თბილისელებს ხვდათ (15:13), მესამე, გადამწყვეტ პარტიაში „კოლხიდის" გუნდმა ალმაცერობით ითამაშა (15:6) და გამარჯვებაც დაისაკუთრა — 2:1.

მოცურავეთა ტურნირი სპორტკლუბ „გამარჯვების" აუზში ჩატარდა. აქ პირველობის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ მასპინძელთა და „კოლხიდის" გუნდები. გამარჯვება მასპინძელთა უფრო ძლიერ კოლექტივს დარჩა. თბილისელმა ვ. ბუდიაკმა მოიგო თავისუფალი სტილით 100 და 200 მეტრზე ცურვა — 1.07,1 და 2.25,4. ქალებში 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მ. ფილიპოვამ (თბილისი) გაიმარჯვა — 1.26,6. სპორტის ოსტატი ი. ფუნიკოვი („გამარჯვება") ჩემპიონი გახდა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში — 1.24,6. 200 მეტრზე ამავე სტილით კი ყველას ქუთაისელმა დ. ზინკინმა აჯობა — 3.52,0.

მოჭადრაკეთა ფინალურ ასპარეზობაში მეტროლოგიის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სპორტსმენებმა ისახელეს თავი, მათ ამ წარმატებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ მეტოქე გუნდის — სამრეწველო მანქანების მთავარი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს 2 მოჭადრაკე თამაშზე არ გამოცხადდა. სხვა ორ შეხვედრაში კი მეტოქეებმა თითო ქულა მოიპოვეს. საბოლოოდ გამარჯვება მეტროლოგებს დარჩათ — 3:1.

ამით დამთავრდა სპარტაკიადის პირველი ეტაპი. მალე ბრძოლაში ჩაებმებიან ველოსიპედისტები, კალათბურთელები, ხელბურთელები და სხვა სახეობათა წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ 27 ფიზკულტურული კოლექტივიდან სპარტაკიადაში მხოლოდ 18 მონაწილეობდა. გუნდების გამოყვანა ვერ შეძლეს ფოთის მექანიკურმა, ბათუმის მანქანათმშენებელმა, თბილისის კალინინის სახელობის ქარხნებმა და ქარხანა „ცენტროლიტმა".

**ვ. ბუკია.**

# სახელოვან თარიღს უძღვნეს

გორის რაიონის სკრის საბჭოთა მეურნეობის ჭაბუკმა მოჭიდავეებმა, რომლებსაც სპორტის დიდი ენთუზიასტი ს. კაკაშვილი ავარჯიშებს, ამ ცოტა ხნის წინ რაიონის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ქართულ ჭიდაობაში. მას შემდეგ, კომკავშირის რაიკომმა და ადგილობრივმა სპორტკავშირმა უფროსი ასაკის ფალავანთა სამდღიანი ასპარეზობა ჩაატარეს, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. შეჯიბრებაში მონაწილე 90-ზე მეტ სპორტსმენს შორის სკრელები აშკარად გამოირჩეოდნენ კარგი მომზადებით. გუნდური პირველი ადგილიც სწორედ მათ ერგოთ.

პირად პირველობაში რაიონის ჩემპიონები გახდნენ: ი. ფუხაშვილი (ატენი), რ. მეგრელიშვილი, მ. კაბულაშვილი (ორივე — სკრა), მ. კურტანიძე (სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი), რ. ომაძე (შინდისი), მ. მელიქიშვილი (მეჯვრისხევი), მ. ფიცხელაური (ზემოდულეთი), ო. მდინარაძე (ახალდაბა).

**ი. თევდორაშვილი.**
**(ჩვენი კორ.).**

გორი.

# საკუთარი ძალებით

ახალგაზრდების თხოვნით, „ლელომ" რამდენჯერმე დაწერა: შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნის სპორტული ბაზების მოუწყობლობის თაობაზე. ბოლოს აქ ფეხბურთის მოედანიც გადახნეს. მაგრამ ქარხნის სპორტის მოყვარულთა ინიციატივამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ტექნიკური უშიშროების ინჟინერი ა. მაღლაკელიძე, სათანადო ნაყოფი გამოიღო. ახალგაზრდებმა დანაზოგებით საკმაო თანხა შეაგროვეს, ბულდოზერი და გრეიდერი დაიქირავეს და ფეხბურთის მოედნის მოსაწყობად შესაბამისი ადგილიც მოასწორეს. ფიზკულტურელთა წამოწყებას მხარი დაუჭირა ქარხნის დირექციამ, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. მოედნის მოწყობაში თავი ისახელეს ე. მუშკუდიანმა, ე. ჩიტორელიძემ, ნ. ბრეგაძემ, ტ. ამანათოვმა, ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ზ. ქამუშაძემ.

მალე შორაპნელ სპორტსმენებს კარგი მინდორი ექნებათ.

**დ. ცერცვაძე,**
**ინჟინერ-ტექნოლოგი.**

# მასპინძლებმა იმარჯვეს

გულრიფშის გზატკეცილზე ჩატარდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობა ველოსპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ველოსიპედისტები — აჭარის, აფხაზეთის, ზუგდიდის, სამტრედიისა და მცხეთის წარმომადგენლები.

შეჯიბრებაში, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა, კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანა აფხაზეთმა. მან დამსახურებულად მოიპოვა I ადგილი. აჭარის ველოსიპედისტებს წილად ხვდათ II, ხოლო ზუგდიდელებს — III ადგილი.

**შ. ჯალაღონია.**
**(ჩვენი კორ.).**

გულრიფში.

# გ. გუდაშვილის საკავშირო რეკორდი

შაბათ-კვირას თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა დედაქალაქის სპორტული კლუბების მძლეოსანთა ასპარეზობა, რომელმაც სარბიელზე თავი მოუყარა უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების, „სინათლის", „გამარჯვების", „განთიადის", „ისინდისა" და სხვათა საუკეთესო ათლეტებს.

ტურნირში ძალას ცდიდნენ სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის ყოფილი კანდიდატები, ქუთაისელი ი. კოზელსკი და თბილისელი გ. გუდაშვილიც. კოზელსკისთვის იმედის წყალი გადაწურულია — მეხიკოში გამოსვლის უფლება მან ვერ მოიპოვა, სამაგიეროდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა გურამ გუდაშვილმა მოსკოვიდან სწორედ ამ დღეს მიიღო დეპეშა: ოლიმპიურ თამაშებზე წასასვლელად მოემზადე. 27 წლის ეს გოლიათი ერთადერთი ბადროს მტყორცნელი ვაჟია, რომელიც მძლეოსნობის საკავშირო ფედერაციამ ოლიმპიურ ნაკრებში ჩარიცხა.

თბილისელი ათლეტი წლეულს ყველაზე სტაბილურად გამოდის. ჯერ წახკაძორში, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატში საქართველოს ახალი რეკორდი (60,30 მეტრი) დაამყარა, შემდეგ იქვე, საწვრთნელ ტყორცნებში ამ შედეგს რამდენჯერმე ოდნავ გადაამეტა, მერე, თბილისში დაბრუნებულმა ერთ-ერთ ვარჯიშზე ბადრო 63 მეტრს იქით გაგზავნა, ახლა კი, ქალაქის პირველობაზე 62.14 მეტრი აჩვენა, რაც 50 სანტიმეტრით აღემატებოდა ლენინგრადელ ვ. ტრუსენიოვის 1962 წელს დამყარებულ საკავშირო რეკორდს. ეს გუდაშვილისა და მისი მწვრთნელის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ბ. დიაჩკოვის მნიშვნელოვანი გამარჯვებაა.

აღსანიშნავია, რომ სარეკორდო ტყორცნის დღეს გუდაშვილის სხვა ცდათა შედეგებიც მაღალი იყო — 59 მეტრზე დაბლა არც ერთხელ არ ჩამოსულა.

უნივერსიტეტის სპორტსმენებმა ამ დღეს კიდევ ერთი რეკორდი დაამყარეს, მართალია, იგი რესპუბლიკური მნიშვნელობისაა, მაგრამ რეკორდის ავტორის ვ. მაირომიანის (მწვრთნელი—საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შ. ტყეშელაშვილი) მონაცემები, ნიჭი და მძლეოსნობით გატაცება იმის გარანტიას იძლევა, რომ სპორტსმენი სულ მალე საკავშირო სარბიელზეც ისახელებს თავს.

მაირომიანი 800 მეტრზე ასპარეზობდა. თავიდანვე ო. ლომთაძე დაწინაურდა, მაგრამ შუა დისტანციის შემდეგ მას ჯერ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა გ. შოშიაშვილმა გაასწრო, შემდეგ უნივერსიტეტის გუნდის წევრმა ი. ლოგუნოვმაც.

ამ დროისთვის მაირომიანი მეოთხე მირბოდა, მაგრამ როცა ფინიშამდე 200 მეტრი დარჩა, მძლავრი ბიძგით მალე სათავეში ჩაუდგა რბოლას. რა თქმა უნდა, გამარჯვებაც მას დარჩა. 1.53,0 — ასეთია საქართველოს იუნიორთა ახალი რეკორდი. მეორე იყო ლოგუნოვი — 1.54,1, მესამე — შოშიაშვილი — 1.56,4. სამივე შედეგი I თანრიგის ნორმატივზე უკეთესია.

ჩვენი ოლიმპიელი ლ. იევლევა ამ ტურნირში არ გამოდიოდა. სტარტზე ვერც თ. როჟმანოვა ვიხილეთ. ამის მიუხედავად 80 მეტრზე თარჯრბენში გ. კონონენკომ (უნივერსიტეტი) დამაკმაყოფილებელი შედეგით (11,2) გაიმარჯვა. მან 1,1 წამით მოუგო თანაგუნდელ თ. ეპიფანოვას.

110 მეტრზე თარჯრბენში პირველობისათვის ბრძოლა ფაქტიურად ი. დიაჩკოვსა (უნივერსიტეტი) და ა. მოშიაშვილს (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) შორის მიმდინარეობდა. ისინი ერთმანეთს ფინალმა შეახვედრა. უპირატესობა დარჩა უფრო გამოცდილ დიაჩკოვს, რომელიც ოსტატობის კანდიდატის შედეგით (14,8) მიიჭრა ფინიშთან. ევროპის იუნიორთა ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი მოშიაშვილი (15,1) ამჯერად თავის შესაძლებლობაზე ცუდად გამოვიდა.

საინტერესო იყო ვაჟების სიგრძეზე ხტომა და ქალთა ბადროს ტყორცნა. სიგრძეზე ხტომაში პოზიციებს არ თმობს ვეტერანი, მეცნიერებათა კანდიდატი რ. ქვაჩაკიძე („სინათლე"), იგი ერთადერთი იყო, ვინც 7-მეტრიან ზღვარს გადაცილდა — 711 სმ. თუმცა I თანრიგის ნორმატივი ვ. ჩუკანოვმაც (უნივერსიტეტი, 693 სმ) შეასრულა. ბადროს ტყორცნაში მეტოქეებს აშკარად აჯობა ვ. კომაროვამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი)—44,30, სამაგიეროდ, მის თანაგუნდელს ბირთვის კვრაში რესპუბლიკის რეკორდსმენს მ. თათარაშვილსა და ა. მატუსოვას („სინათლე") ორთაბრძოლაში მატუსოვას 11 ადგილი 2 სმ-ის უპირატესობამ მოუპოვა. მისი შედეგი 42,90 სმ. სამივე სპორტსმენმა თანრიგის ნორმატივი აჩვენა.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ 400 მეტრზე მორბენალ ქალთა შორის კვლავ ერთეულებია. ლ. პაბოკას (ფიზკულტურის ინსტიტუტი) სათანადო მეტოქენი რომ ჰყავდეს, მას უფრო მაღალი შედეგით შეეძლო გაეხარებინა გულშემატკივრები.

**ო. ივლოშვილი.**





**სურათებზე:** მარცხნივ — **პაბოკა,** მარჯვნივ — **ქვაჩაკიძე ასპარეზობისას.**

* * *

**ქვემოთ მოგვყავს მხოლოდ გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები: ქალები. რბენა. 100 მ** — ვ. ქუთათელაძე (პირადი) — 12,1; **200 მ** — ნ. ლომიძე (უნივერსიტეტი) — 26,5; **400 მ** — ლ. პაბოკა (ფიზკულტურის ინსტიტუტი)—1.01,4, **სიმაღლეზე ხტომა** — ლ. ჩერნენკო (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 145 სმ; **სიგრძეზე ხტომა** — გ. კონონენკო (უნივერსიტეტი) — 5,80; **ბირთვის კვრა** — მ. თათარაშვილი — 13,84; **შუბის ტყორცნა** — დ. საბაური (სპი) — 40,52. **ვაჟები: რბენა 100, 200, 400 მ** — ტ. ბახტაძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 11,0, 22,1, 50,0; **1500 მ** — ლოგუნოვი — 4.00,0; **3000 მ** — ა. კურზანოვი („სინათლე") — 8.40,8; **5000 მ** — ე. სიმონოვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 15.26,6. **200 მ თარჯრბენი** — მოშიაშვილი — 25,7; **20 კმ სპორტული სიარული** — ა. შჩერბინა — („სინათლე") — 1:37.58,2; **სიმაღლეზე ხტომა** — ნ. საგანელიძე (სპი) — 2 მ; **სამხტომი** — ლ. დარახველიძე („სინათლე") — 15,49; **ჭოკით ხტომა** — ი. დიაჩკოვი — 4,40; **შუბის ტყორცნა** — ლ. აროშიძე (პირადი) — 69,20; **უროს ტყორცნა** — შ. შანიძე („სინათლე") — 52,96; **ესტაფეტა 4×100 მ** (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 43,0;

გუნდური შედეგები: **I ჯგუფი.** 1. უნივერსიტეტი, 2. ფიზკულტურის ინსტიტუტი, 3. პოლიტექნიკური ინსტიტუტი. **II ჯგუფი.** 1. „სინათლე", 2. „ისინდი", 3. „განთიადი".

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

# თავდამსხმელები თამაშგარე მდგომარეობაში

**ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 15 სექტემბერი.**

**„დინამო" (ბათუმი) — „დინამო" (მახაჩყალა) 0:1 (0:0).**

**ბათუმი:** კვახაძე, ჩხაიძე, ქორიძე, ხირბილაძე, გიორგიადი, ილურიძე, ახვლედიანი, კვიტაიშვილი, გიორგაძე, რ. გაგუა, ვერულიძე.

**მახაჩყალა:** ბარანიკოვი, კრახნიკოვი, დრიანოვი, კარასიოვი, დანილოვი, რაზიუპინი, კოროლენკოვი, სოლოვიოვი, ჟუკოვი, იგნატიევი, ვალიანსკი.

**მსაჯი ს. პიგოლიცი (ივანოვო).**

**დუბლიორები — 3:2 ბათუმელთა სასარგებლოდ.**

ბათუმის „დინამოს" მეტოქეები, მახაჩყალელი თანაკლუბელები წლეულს წარმატებით ასპარეზობენ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სატურნირო ცხრილში ისინი ლიდერთა შორის იმყოფებიან. პირველ წრეში ამ გუნდების შეხვედრა მახაჩყალელთა გამარჯვებით დამთავრდა (1:0). საფიქრებელი იყო, რომ ქართველი ფეხბურთელები განმეორებით მატჩში რევანშისთვის იბრძოლებდნენ.

თამაშის დასაწყისმა კიდევ უფრო გააძლიერა ეს აზრი. მსაჯის სასტვენის შემდეგ წამმზომის ისარს ერთი სრული წრე არც ჰქონდა შემოხაზული, რომ გიორგაძემ ძლიერი ბურთი გაგზავნა მეტოქის კარისკენ. მცველებმა გაჭირვებით მოიგერიეს იგი კუთხურზე. ინიციატივა მტკიცედ გადავიდა მასპინძლების მხარეს. მე-13 წუთზე ახვლედიანი უკუგდებით აგზავნის ბურთს მახაჩყალელთა კარისკენ. 24-ე წუთზე ილურიძის უძლიერეს დარტყმას ძელი იგერიებს. ტაიმის ბოლომდე ბათუმელებმა ვერ გამოიყენეს კიდევ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი და პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 0:0. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში სტუმრებს არც ერთი საგოლე მომენტი არ შეუქმნიათ. კიდევ მეტიც, ბათუმელთა მეკარე კვახაძე ფაქტიურად გამოთიშული იყო თამაშიდან.

შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა: ინიციატივა მთლიანად მახაჩყალელთა მხარეს გადავიდა. 75-ე წუთზე სოლოვიოვმა კარგად გამოიყენა ბათუმელ მცველთა შეცდომა და გახსნა ანგარიში. მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ მაინც გააქტიურდებოდნენ დინამოელი ფორვარდები, მაგრამ ამაოდ. ისინი გულგრილად შეჰყურებდნენ მეტოქის მცველებს, რომლებიც ადვილად იგერიებდნენ მათ უსუსურ შეტევებს. შეხვედრა დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 1:0.

აღსანიშნავია, რომ არასპორტული საქციელისათვის მსაჯმა სავსებით სამართლიანად გააძევა მინდვრიდან ბათუმელთა თავდამსხმელი გიორგაძე.

**ო. მურვანიძე.**
**(ჩვენი კორ.).**

## სხვა შეხვედრები

15 სექტემბერს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები:

„მეშახტე" (ტყიბული) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 0:0, „ვოლგა" (ულიანოვსკი) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 2:0, „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „თერგი" (გროზნო) 3:5, „ვოლგა" (გორკი) — „სტროიტელი" (უფა) 2:1, „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) — „ზვეზდა" (პერმი) 1:1, „რუბინი" (ყაზანი) — „ზენიტი" (იჟევსკი) 3:0, „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) 4:0.

## „ა" კლასი II ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 28 | 17 | 8 | 3 | 42—14 | 42 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 29 | 12 | 14 | 3 | 21—10 | 38 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 28 | 14 | 9 | 5 | 40—20 | 37 |
| „ვოლგა" (გორკი) | 29 | 14 | 8 | 7 | 44—22 | 36 |
| „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) | 30 | 11 | 14 | 5 | 34—23 | 36 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 28 | 13 | 7 | 8 | 37—24 | 33 |
| „დინამო" (ბათუმი) | 30 | 10 | 10 | 10 | 31—27 | 30 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 30 | 11 | 8 | 11 | 30—32 | 30 |
| „ზენიტი" (იჟევსკი) | 30 | 10 | 9 | 11 | 28—33 | 29 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 30 | 8 | 13 | 9 | 23—29 | 29 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 29 | 9 | 10 | 10 | 30—27 | 28 |
| „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) | 29 | 7 | 12 | 10 | 24—24 | 26 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 29 | 8 | 10 | 11 | 33—38 | 26 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 28 | 9 | 8 | 11 | 22—29 | 26 |
| „სტროიტელი" (უფა) | 30 | 8 | 10 | 12 | 31—39 | 26 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 29 | 9 | 8 | 12 | 22—30 | 26 |
| „ვოლგა" (ულიანოვსკი) | 30 | 10 | 6 | 14 | 31—45 | 26 |
| „თერგი" (გროზნო) | 29 | 7 | 10 | 12 | 35—39 | 24 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 30 | 4 | 15 | 11 | 25—37 | 23 |
| „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) | 30 | 6 | 11 | 13 | 24—49 | 23 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 29 | 6 | 8 | 15 | 22—39 | 20 |

III ქვეჯგუფი

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 17 სექტემბრისთვის**

[მონაცემები ზემოთ მოცემულ ცხრილშია]

# გაბრაზებაც ასეთი უნდა!

ლენინგრადში ჩატარდა პროფკავშირული სპორტკლუბების საკავშირო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 21 კოლექტივი. ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იცავდნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის" (მწვრთნელები გ. აბუაშვილი და დ. მინდიაშვილი) მოჭიდავეები.

პირველი შეხვედრა რუსთაველთათვის უიღბლო გამოდგა. ისინი დამარცხდნენ ესტონელებთან. დებულების თანახმად, გუნდი ორი წაგების შემდეგ სტოვებდა ასპარეზს. სწორედ ამ ფაქტმა „გააბრაზა" ქართველი მოჭიდავეები. ისინი პირველი მარცხის შემდეგ გაათკეცებული ენერგიითა და თავგანწირვით იბრძოდნენ და ღირსეულადაც დაჯილდოვდნენ.

მეორე დღეს რუსთაველებმა „მშრალი" ანგარიშით დაამარცხეს ერევნის „არაქსი", III წრეში იმსხვერპლეს ნორილსკის „ზაპოლიარსი", IV — რიგის „დაუგავა", V — ლენინგრადელი ათლეტები და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

გამარჯვების გზაზე მყოფმა გუნდმა ტრადიციას არც ფინალში უღალატა: დაამარცხა როსტოვის „როსსელმაში", ყაზანის „ვიმპელი" და I ადგილი დაისაკუთრა. რუსთავის „ფოლადს" გადაეცა თასი. ამ შეჯიბრებაში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა თ. ჯიოშვილმა. მის გარდა, გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ა. მენაბდიშვილი, გ. კაპანაძე, რ. გოგოლაძე, ა. ხარაბაძე, ო. ტატიშვილი, თ. სირბილაძე, რ. ღულუნიშვილი და ა. პაპუაშვილი.

**რ. გაბრიჩიძე.**

# „კოლმეურნის" ფალავნები

გურჯაანში მოეწყო „კოლმეურნის" რაიონული პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობდა 40 ფალავანი. პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: ჯ. ბერიკაშვილმა (კოლაგი), შ. ბადრიაშვილმა (მახარაძის კოლმეურნეობა), ა. ძამსაშვილმა, რ. სამადაშვილმა, მ. მოძღვრიშვილმა, მ. დანიელაშვილმა, ვ. ხაბაზიშვილმა, კ. გოჩიაშვილმა (ყველა — სოფ. შრომა).

გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს შრომის საბჭოთა მეურნეობის მოჭიდავეებმა. მომდევნო ადგილები დაისაკუთრეს მახარაძის კოლმეურნეობისა და გურჯაანის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის კოლექტივებმა.

**ი. ოდიშელიძე.**

## [illegible]

### ✦ ახმეტა

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა „კოლმეურნის" რაიონული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. გუნდური პირველობა მოიპოვეს პანკისის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ფალავნებმა.

**ე. ზარიძე,**
**ზ. ნათელაური.**

### ✦ ზუგდიდი

ენგურჰესის მშენებელთა პირად-გუნდური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში მოიგეს სამოქალაქო მშენებლობის ფალავნებმა. I ადგილები დაიკავეს ჯ. ფარულავამ, ს. ზაქარიამ, მ. ლაბარტყავამ, ე. მოისწრაფიშვილმა, დ. მგალობლიშვილმა.

**ბ. ალშიბაია.**




## ექვსი სერიის შემდეგ

ექვსი სერიის შემდეგ ჩვენი კონკურსის ლიდერმა გ. კაკაურიძემ (თბილისი) შეინარჩუნა ერთპიროვნული მეწინავეობა და ახლა 60 შესაძლებლიდან 60 ქულა აქვს.

ვაქვეყნებთ კონკურსის იმ დანარჩენ მონაწილეთა გვარებს, რომელთაც „სპორტული უნივერსიტეტის“ 6 სერიის ჯამში დააგროვეს:

**59 ქულა** — თ. ლებანიძე, გ. ლორთქიფანიძე, გ. ხარაზიშვილი, დ. ჯავახიძე, ფ. ჯანყარაშვილი, ე. ჯიჯიაშვილი (ყველა — თბილისი).

**58 ქულა** — ნ. ბაქრაძე, ა. ბესიაშვილი, ჯ. ბაშელეიშვილი, ნ. ელერდაშვილი, რ. თავაძე, გ. კვაჭაძე, ზ. მაკარიძე, ჯ. მარკარიანი, ბ. ტაბიძე, ა. ტაკიძე, გ. ჩეკურიშვილი, ჯ. ხუციბერიძე (ყველა — თბილისი), ა. მელქაძე, დ. ჩიკვაშვილი, დ. ჯანაშვილი (ყველა — ქუთაისი).

**57 ქულა** — ი. და ლ. ადამაშვილები, გ. ახალაძე, მ. ზაქარაია, ჯ. თხელიძე, თ. ლოლომაძე, ნ. მასტიაშვილი, კ. ოდიკაძე, ი. პაროშინი, თ. ღვინეფაძე, დ. ხიდეშელი (ყველა — თბილისი), გ. ახრახაძე (წყალტუბო).

**56 ქულა** — რ. მიქაშავიძე, ჯ. ძაგანია (ორივე — თბილისი), ი. ბუზიაშვილი, მ. სოფრომაძე (ორივე — ქუთაისი), ჯ. ვაშაკიძე (სამტრედია), ნ. ტოროტაძე (სიმფეროპოლი).

**55 ქულა** — თ. სიხარულიძე, გ. ჯაფარიძე (ორივე — თბილისი), თ. ალფაიძე (ქუთაისი).

**54 ქულა** — გ. ბასილაშვილი (თბილისი), გ. ლაბაძე, დ. ფაჩუაშვილი, ე. ხიშტოვანი (ყველა — ქუთაისი).

**53 ქულა** — შ. ბიბილეიშვილი (წყალტუბო), მ. მამისთვალოვი, ჯ. მჭედლიშვილი, ზ. ქუთათელაძე (ყველა — თბილისი).

**52 ქულა** — გ. აბურჯანია (ფოთი), თ. გელოვანი (სამტრედია), ვ. ხვიტია, გ. ხახიაური, უ. ხუნდაძე (ყველა — თბილისი).

**51 ქულა** — გ. მელქაძე (სამტრედია), ნ. წურწუმია, ვ. თუზბაია (ორივე — სოხუმი).

**50 ქულა** — ბ. ბასილაია (ფოთი), ჯ. დიასამიძე (ბათუმი), ჯ. ფირცხალაიშვილი (ლანჩხუთი), მ. ჯავახაძე (ქუთაისი).

**49 ქულა** — ვ. ზენაიშვილი (ქუთაისი).

**48 ქულა** — ჯ. გოგია, ნ. მაქაცარია (ორივე — ზუგდიდი), ა. დარჩია (ბათუმი), რ. სეფიაშვილი (ქუთაისი), ზ. წიკლაური (თელავი), ი. ჭაჭაშვილი (აზერბაიჯანის სსრ, კახის რ., სოფ. ალიბეგლო).

ვაქვეყნებთ შემდეგი სერიის კითხვებს:

## მეშვიდე სერია

1. დაასახელეთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ქალი, რომელიც დაეცა დიდი სამამულო ომის ფრონტზე. რომელ სახეობაში გამოდიოდა და რომელ წლებში იყო იგი ჩემპიონი?
2. ერთ-ერთი ოლიმპიური ჩემპიონი შემდეგში აკურთხეს მეფედ. რომელ სახეობაში მოიპოვა მან ოლიმპიური ოქროს მედალი და რომელ სახელმწიფოში მეფობდა?
3. ვინ გადაცურა ლა-მანშის სრუტე პირველად როგორც წყალზე, ისე წყალქვეშ?
4. დაასახელეთ მოჭადრაკე ქალები, რომლებიც მონაწილეობდნენ ვაჟთა ოლიმპიადებში. რომელ ოლიმპიადებში და რომელი ქვეყნის გუნდების შემადგენლობაში გამოდიოდნენ ისინი?
5. ვის ეკუთვნის თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომის მსოფლიოს არაოფიციალური რეკორდი? რომელი საბჭოთა სპორტსმენი შედის აღნიშნული სახეობის მსოფლიო რეკორდსმენთა ათეულში და როგორი შედეგით?
6. ოლიმპიური თამაშების აღმნუსხველი რა ოფიციალური სამახსოვრო რჩებათ ოლიმპიურ სტადიონებს?
7. ძველი წლის გაცილებას თითქმის ყველა ხვდება სადღესასწაულო სუფრასთან. მაგრამ არის ქალაქი, სადაც სწორედ ამ წუთებში სპორტსმენები იწყებენ ასპარეზობას მეტად საინტერესო სპორტულ შეჯიბრებაში და ამთავრებენ ახალ წელს. რომელ სახელმწიფოში და რა სახეობაში იმართება იგი?
8. დაასახელეთ სპორტსმენები, რომელთაც ყველაზე მეტი და ყველაზე ნაკლები მანძილი აქვთ გარბენილი ერთ ოლიმპიურ თამაშებში.
9. რამდენ სახეობაში გაიმართება შეჯიბრებები მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში და რამდენი მედალი გათამაშდება სულ? (იგულისხმება ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო ერთად). დაასახელეთ აგრეთვე ის სამი სახეობა, რომელშიც ყველაზე მეტი მედლები გათამაშდება და რამდენი?
10. ვინ არის აღბეჭდილი ამ სურათზე?



მეშვიდე სერიის კითხვებზე პასუხების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 27 სექტემბერი (იგულისხმება საფოსტო განყოფილების შტემპელი).

პასუხები გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14. „ლელოს“ რედაქცია, „სპორტული უნივერსიტეტი-68“.

კონკურსის მონაწილეთ ვთხოვთ პასუხებს სახელთან და გვართან ერთად მიაწერონ თავიანთი მისამართი: კონვერტში ჩადონ ჩვენი გაზეთიდან ამოჭრილი მხოლოდ სპეციალური შესაბამისი კუპონი 7, რომელიც კითხვების სერიას ერთვის (წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხები რეგისტრირებული და განხილული არ იქნება).

**კუპონი 7**

▲ **ბელგრადი.** იუგოსლავიის მოცურავეთა ჩემპიონატში ამ ქვეყნის ორი რეკორდი დაამყარა ვ. როგოშიჩმა. 200 მ ბატერფლაით მან 2.10,5-ში გაცურა, ხოლო ამავე მანძილზე კომპლექსურ ცურვაში 2.20,1 აჩვენა.

▲ **ოტავა.** 1500 მ რბენაში კანადის ახალი რეკორდი დაამყარა ნ. ტრევაისმა — 3.39,6. ეს 2,1 წამით აღემატება ჯ. ბე[illegible]ლის შარშანდელ რეკორდს.

▲ **მადრიდი.** ესპანეთის მძლეოსანთა ტურნირში 3000 მ წინაღობებით რბენა მოიგო ქ. ალვარეს-სალგადომ, რომელმაც 8.36,4 აჩვენა და ქვეყნის რეკორდი გააუმჯობესა. 100 მეტრზე რბენაში ხ. სანჩეს-პარაისომ 0,1 წამი ჩამოაჭრა ესპანეთის ძველ რეკორდს, რომელიც 10,4 წამს უდრიდა.

▲ **ვენა.** ვ. პეტკორმა შუბის ტყორცნაში 82 მეტრი და 5 სმ აჩვენა. ეს შედეგი 10 სმ-ით ჯობია ავსტრიის ძველ რეკორდს.

## ახალი ვადები

როგორც ცნობილია, „სოვეტსკი სპორტი“ ჩრდილო კავკასიის ქალაქებში ბოლო წლებში რეგულარულად აწყობს საკავშირო ტურნირს მძლეოსნურ ესტაფეტებში. წლევანდელი შეჯიბრება 19-20 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ ამ პერიოდში ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მორბენლები მეხიკოს ოლიმპიადაზე იქნებიან, მძლეოსნობის საკავშირო ფედერაციამ და „სოვეტსკი სპორტის“ სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტეს ტურნირი გამართონ 30-31 ოქტომბერს სტავროპოლში.

შეჯიბრებაზე დაიშვებიან ქალაქების ის საუკეთესო გუნდები, რომლებიც რესპუბლიკურ ტურნირებში გაიმარჯვებენ.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ნაკრების იმედი

ასე უწოდებს ჟურნალი „ფორცა მილანი“ იტალიის ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელ პრატის, რომელიც, როგორც ცნობილია, მონაწილეობდა ევროპის ბოლო ჩემპიონატში.

ამ ახალმა ვარსკვლავმა იტალიის „სკუადრა აძურას“ ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ 1965 წელს, როცა უეფა-ს ტურნირში მონაწილეობდა. მაგრამ 1966 წელს პრატიმ ფეხის მძიმე ტრავმა გადაიტანა, რის შემდეგ „მილანმა“ საჭიროდ მიიჩნია იგი მეორე ლიგის „სავონასათვის“ ეთხოვებინა. ამ გუნდში პრატი მეორე ლიგის № 1 სნაიპერი გახდა, ხოლო შარშან „მილანს“ დაუბრუნდა.

იტალიელი მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ პრატის დიდი ფეხბურთისკენ გზა გაუკაფა მწვრთნელმა ნ. როკომ, რომელიც „მილანს“ 1967 წლიდან უდგას სათავეში. როკო მიიჩნევს, რომ ჯერჯერობით პრატი მხოლოდ მაშინ თამაშობს ძლიერად, როცა რივერასთან აქვს კონტაქტი. ამ აზრს იზიარებს თვით პრატიც: „ჩემი გოლების თანაავტორად სწორედ რივერა უნდა ჩაითვალოს“.

### ტრადიციის წინააღმდეგ

როგორც ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ა. რამსეიმ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ეროვნული ჩემპიონატის ვადების შეცვლა (იგი შარშანდელთან შედარებით ადრე დაიწყო) ფეხბურთელებს ხელს შეუწყობს უკეთ მოემზადონ მსოფლიო ჩემპიონატისთვის. ინგლისის თასის ფინალი, რომელიც ტრადიციულად ამთავრებს სეზონს, გაიმართება აპრილის უკანასკნელ შაბათს. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი მაისი ნაკრების მოთამაშეები თავისუფალი იქნებიან და შეუძლიათ ეს პერიოდი მსოფლიო პირველობისთვის მოსამზადებლად გამოიყენონ. სწორედ მაისში გაიმართება დიდი ბრიტანეთის ოთხი ნაკრების (ინგლისი, შოტლანდია, ჩრ. ირლანდია, უელსი) ტრადიციული ჩემპიონატიც. ინგლისის პირველობის ადრე დამთავრება დიდად შეუწყობს ხელს შოტლანდიის, ჩრ. ირლანდიისა და უელსის ნაკრებებსაც.

### მადსენის პრობლემა

გამოჩენილი დანიელი ცენტრფორვარდი ო. მადსენი, რომელიც ნაკრების მთავარი სნაიპერი იყო (41 გოლი 44 თამაშში), ორიოდე წლის წინ პროფესიონალი გახდა და ჰოლანდიის „სპარტაში“ ჩაირიცხა. ჰოლანდიაში მადსენს ბედი არ სწყალობდა: ხშირად ავადმყოფობდა, ჰქონდა ტრავმები. ამის მიუხედავად, იგი „სპარტას“ უძლიერესი თავდამსხმელი იყო.

ახლა მადსენი სამშობლოში დაბრუნდა, დაიბრუნა მოყვარული ფეხბურთელის სტატუსი და „ჰელერუპში“ ჩაირიცხა. მადსენმა, რომელიც კვლავინდებურად ძლიერად თამაშობს, განაცხადა, რომ სურს დანიის ნაკრებში გამოსვლა. მაგრამ რა ჰქნას ნაკრების ხელმძღვანელობამ? დანიაში მოქმედი კანონების თანახმად, ნაკრებში გამოსვლა ეკრძალებათ როგორც პროფესიონალებს, ისე ყოფილ პროფესიონალებსაც. მოახლოვდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები, მადსენი კი უდავოდ გააძლიერებდა თავდასხმას.

**რედაქტორის მოადგილე**
**ზ. ჯაფარიძე.**

## მოკლე ამბები

● **ბუდაპეშტი,** 15 სექტემბერი. მეხიკოში წასვლის წინ აქ გამართულ შეჯიბრებაში დ. ჟივოცკიმ უროს ტყორცნაში 73,76 მეტრი აჩვენა და 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი.

● **ბერლინი, 15 სექტემბერი.** ერფურტში გაიმართა გდრ-ის ოლიმპიელ მძლეოსანთა ბოლო ტურნირი, რომლის შედეგადაც ნაკრები კიდევ ერთი წევრით შეივსო. საქმე ის გახლავთ, რომ 800 მეტრზე რბენაში ევროპის ორგზის ჩემპიონს მ. მატუშევსკის ფეხის ტრავმის გამო ადრე შესრულებული არ ჰქონდა იააფ-ის ნორმატივი და ნაკრების მიღმა იყო დარჩენილი. აქ კი მან მსოფლიოში სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი (1.46,4) აჩვენა და მეხიკოს საგზური მიიღო.

თბილისის ბავშვთა ცენტრალური საჭადრაკო სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას. სკოლა, რომელიც თერთმეტი წელია არსებობს, ძირითადად პიონერთა ასაკის ბავშვებთან მუშაობს.

სკოლას ჯგუფები გახსნილი აქვს დედაქალაქის ყველა რაიონში. მსურველებს შეუძლიათ მიაკითხონ შემდეგი მისამართით:

ლენინის რაიონი. მაგნიტოგორსკის ქ. № 14, პიონერთა სახლი.

ორჯონიკიძის (ვაკე), კალინინისა და კიროვის რაიონები. ბესიკის ქ. № 4, „დინამოს“ საჭადრაკო კლუბი.

პირველი მაისის და ოქტომბრის რაიონები. პლეხანოვის პრ. № 95. „განთიადის“ საჭადრაკო კლუბი.

26 კომისრის რაიონი. ხივინის ქ. № 2. პიონერთა სახლი.

ორჯონიკიძის რაიონი (საბურთალო). ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, III კვარტალი, საზოგადოებრივი საბჭოს კლუბი (საბავშვო სტადიონთან).

ჩაწერა წარმოებს ყოველდღე 14-დან 17 საათამდე.

### თბილისის სპორტული [illegible]

**სპიდვეი.** „ლოკომოტივის“ სტადიონი. 17-18 სექტემბერი. სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალები. მონაწილეობენ თბილისის, ლვოვის, ელისტისა და დაუგავპილსის გუნდები. დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04219